ა.წ. 16 ივლისს თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა ვინმე დევიდ ჰეთევეის რელიგიურ-ოკულტური შეხვედრა მოსახლეობასთან. მსგავსი შეხვედრები დაგეგმილია 17 და 18 ივლისსაც. ეს პროტესტანტი თუ სექტანტი პიროვნება აცხადებს, რომ ქრისტეს სახელით იგი კურნავს ხალხს სხვადასხვა სნეულებათაგან. ამასთან დაკავშირებით მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა მიმართა მოსახლეობას:

ძვირფასო თანამემამულენო, მართლმადიდებლებო!

უფალი ჩვენი, იესო ქრისტე სახარებაში გვაფრთხილებს, რომ გამოჩნდებიან ცრუ-წინასწარმეტყველნი და მკურნალნი, რომლებიც მოახდენენ მრავალ სასწაულებს, კურნებებს, რითაც აცდუნებენ ხალხს და მათ ეშმაკის მახეში გახვევენ: ***„მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და მრავალთა აცდუნებენ. . . აღდგენ ქრისტეს-მტყუარნი და ცრუ-წინასწარმეტყველნი და ჰყოფენ სასწაულებსა დიდ-დიდსა“*** (მათე 24, 5,24). არამართალი სარწმუნოების მიმდევრები, იქნებიან ესენი რომო-კათოლიკები, პროტესტანტები, სექტანტები თუ სხვა ბოროტმადიდებლები, სასწაულებს ახდენენ არა ღმრთის, არამედ ეშმაკის მეშვეობით. ასეთი კურნება დროებით, მოჩვენებით შვებას აძლევს კურნებულს, მაგრამ შემდგომ მათ სხვა მრავალი სნეულება ემართებათ და, რაც მთავარია, ისინი ეშმაკის ზემოქმედების ქვეშ ექცევიან და იღუპებიან სულითაც და ხორცითაც. მოგიწოდებთ, გაფრთხილდეთ, არ შეიქმნათ ეშმაკის მსხვერპლი, რადგან თქვენ

იკურნებით არა ღმრთის, არამედ ეშმაკის მიერ, მოჩვენებითად და დროებით!

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

ეს მიმართვები დაურიგდათ სპორტის სასახლეში მისულ მოსახლეობასაც.

დევით ჰეთევეის ხსენებული აქცია შიძლება შეფასდეს, როგორც ანტიმართლმადიდებლურ, აგრესიულ პროზელიტურ საქმიანობად საქართველოში და ადაგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის უპატივცემლობად. ამასთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქომ შესაბამისი განცხადება გააკეთა. მაგრამ გასაკვირი და სამწუხარო ის არის, რომ 16 ივლისს შეხვედრაზე მისულ ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მიკროავტობუსებითა და ავტობუსებით ჩამოყვანილი ხალხი იყო, რომლებმაც არც კი იცოდნენ, თუ რისთვის ჩამოიყვანეს თბილისში და შეკითხვაზე პასუხობდნენ, რომ ისი წამოიყვანეს რაღაც კონცერტზე თუ რაღაც გასართობ ღონისძიებაზე დასასწრებად. სრულიად ნათელია, რომ ვიღაცამ ცენტრალიზებულად დაგეგმა ასეთი მასშტბური აქცია ქალხის ჩამოყვანისა საქართველოს მრავალი რაიონიდან და ორგანიზება გაუკეთა სატრანსპორტო საშუალებებს. აშკარაა, რომ ეს ,,ვიღაცა“, იქნება ეს ხელისუფლების წარმომადგენელი თუ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, გამიზნულად უპირისპირდება მართლმადიდებელ ეკლესიას და ცდილობს ხალხის მასები ჩამოაშოროს მას და მოაქციოს ისინი არამართლმადიდებლუერი ცნობიერების გავლენის ქვეშ. ისმება კითხვა, ვინმე უგუნური ხომ არ გეგმავს საქართველოში მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებელთა შევიწროვებას?